# თავისუფალი საქართველო

№33

24 - 30 სექტემბერი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა

### საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა განცხადება

ამა წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული ტრაგედიის - სოხუმის დაცემის დღეს, 13 საათზე, დედაენის ძეგლთან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულნი აწყობენ საპროტესტო აქციას.

მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრინციპები, 27 სექტემბერს, 13 საათზე, მივიდეთ დედაენის ძეგლთან და მხარი დავუჭიროთ დევნილთა თავყრილობას.

*საქართველოს ჰელსინკის კავშირი*
*საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი*
*კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება*
*ნაციონალ-კონსერვატიული პარტია*
*კონსერვატიული ლიგა*
*ნეოკონსერვატიული პარტია*
*ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოება*
*აგრარული უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოება*

## მზე ვისია - ნიკოსია?

სულ ახლახან ერთმანეთს დაპირისპირებული კლანების ნათლიმამები კომპლიმენტარულ ურთიერთობებზე გადავიდნენ. ზიმბაბვედან დაბრუნებულმა ნიკო ლეკიშვილმა მხარი დაუჭირა ზურაბ ჟვანიას საკმაოდ ომახიან განცხადებას. მეტად საგულისხმოა, რომ ამ ორს შორის საჯაროდ გათამაშებული და გახმაურებული მწვავე კონფლიქტის შემდეგ, სწორედ ნიკო ლეკიშვილი გამოეხმაურა ასეთი შემართებით პარლამენტის სპიკერს და ამით, უდავოდ, დაუბრუნა ძველ ნომენკლატურულ გვარდიას კონსტრუქციულობის იმიჯი.

დედაქალაქის ყოფილი მერის, ამჟამად სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის მყარი პოზიციები ვერ შეარყია ვერც ატლანტაში უიღბლო გასეირნებამ ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელის სტატუსში, ვერც საყოველთაოსახალხო მხილებამ ენერგეტიკული მაფიის თავკაცობაში, ვერც ენაკვიმატმა ანეკდოტებმა (მაგალითად - თბილისს სახელი შეუცვალეს და დაარქვეს "ნიკოსია" - და სხვა ამგვარი).

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სუფრის მენესტრელის პოპულარობა საქმეშიც შველის მთავარ მინისტრს, მაგრამ არა მხოლოდ ეს - მას საქმიანი ალღოც აღმოაჩნდა. ენერგეტიკის საკითხებში გამობრძმედილმა, მიაშურა ზიმბაბვეს, სადაც მსოფლიო კონგრესზე განიხილებოდა ენერგიის არატრადიციული წყაროების, კერძოდ, მზის ენერგიის გამოყენების საკითხები.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა ფორსირებულად აითვისებენ ჩვენი ენერგეტიკული საქმოსნები ამ ახალ ნედლეულს - მზეს, თუ ეს მათთვის სარგებლიანი აღმოჩნდა.

აქ კი უკვე "მწვანეებსაც" მიეცემათ საქმე - მზის დაცვა მისი ენერგიის სრული დაშრეტისგან, თორემ, ვინ იცის, წინასწარმეტყველური აღმოჩნდეს მშვენიერი რუსი საბავშვო პოეტის ცნობილი ლექსი ნიანგზე, რომელმაც მზე გადაყლაპა. იქნებ ამიტომაც თაფლავს მთავარი მინისტრი "მწვანე" სპიკერს.

ზიმბაბვე, საქართველოს ახალი დიპლომატიური პარტნიორი, სხვა მხრივაც საინტერესო ქვეყანა აღმოჩნდა: ახლახან საქართველოში ვიზიტით მყოფი მისი წარმომადგენელი, ოფიციალური პირების განცხადებების თანახმად, დაინტერესდა პოსტრევოლუციური სიტუაციიდან გამოსვლის ჩვენეული მეთოდით - ძალიან სწრაფად გაგვივლია მძიმე პერიოდი და ავშენებულვართ. ასე რომ, შევარდნაძემ პირობა შეასრულა - საქართველო მართლაც აქცია საექსპერიმენტო "ლაბარატორიად".

*მამუკა ტუსიშვილი*

## იდილია დიდი ტრაგედიის საიუბილეო ცერემონიალის ფონზე

გასულ კვირას ზურაბ ჟვანიამ მკაცრი ნეგატიური შეფასება მისცა აფხაზეთში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მოქმედებას. მის სიტყვებს პარლამენტი ფეხზე ადგომითა და ოვაციებით შეხვდა. მეორე დღესვე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, თამაზ ნადარეიშვილმა მეტად არასახარბიელო პროგნოზი გააკეთა ტელეპროგრამა "ალიონში". მისი თქმით, გალის რაიონში დაბრუნებულ ათასობით ქართველ მოსახლეს აფხაზეთის ხელმძღვანელობა უთუოდ გამოიყენებს ახლად დანიშნული არჩევნების ლეგიტიმაციისთვის: მათ მიაღებინებენ მონაწილეობას არჩევნებში და ამით ხაზს გაუსვამენ, რომ ქართველებიც მხარს უჭერენ აფხაზეთის ხელისუფალთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გალელები მძევლებად გაყიდეს, თანაც ყოველგვარი პირობის გარეშე.

ცხადია, სოხუმის დაცემის თარიღის მოახლოებასთან ერთად, მმართველი რეჟიმი ისედაც ვალდებულია მოახდინოს თავისი პატრიოტული სულისკვეთების რაც შეიძლება სახიერი დემონსტრირება. მით უფრო, რომ წლევანდელი ტრაგიკული იუბილე მეტად არასახარბიელო ფონზე წარიმართება - აფხაზეთში მზადდება საპარლამენტო არჩევნები, ხოლო ოსები - პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას აპირებენ. ორივე რეგიონში ვითარებას აკონტროლებს რუსეთის შეიარაღებული ძალები და ორივეგან მიღწეული, საქართველოსთვის დამღუპველი შედეგებიდან გამომდინარე, რუსეთის პასუხისმგებლობის საკითხი ადრეც შეიძლებოდა დამდგარიყო.

უცნაურია მხოლოდ, რატომ არ მიიღეს არავითარი ქმედითი ზომები იმავე ჟვანიამ, ან ნადარეიშვილმა, რათა ჯერ კიდევ აპრილში არ გაგრძელებულიყო სამშვიდობო ძალების მანდატი, ან გალის მოსახლეობის ნაწილი არ აღმოჩენილიყო ნებაყოფლობით მძევლობაში. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის საკითხში რუსეთის მიმართ უფრო მტკიცე პოზიციების დაკავებისკენ მოუწოდებს არა მხოლოდ შეურიგებელი, რადიკალური, ქუჩის, ანუ არასაპატივცემულო ოპოზიცია, არამედ ხმას იმაღლებენ თვით სახელისუფლებო სტრუქტურებში მყოფი გავლენიანი ძალებიც. მაგრამ, როგორც წესი, პოსტრევოლუციური მმართველობა მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს "კეთილ ნებას", როდესაც დამღუპველ მოვლენათა გარდუვალობის წინაშე ვდგებით, როდესაც აღარაფრის შეცვლა არ შეიძლება და ხელისუფლების რადიკალიზება მხოლოდ არსებული განწყობილებების ათვისებას, მიმიკრიას გულისხმობს.

საინტერესო დეტალი - სწორედ ამ ტრაგიკული თარიღის წინ თბილისში მოუხშირეს რუსეთის ესტრადის ვარსკვლავებმა: მხიარულ საღამოს გვპირდება გენადი ხაზანოვი, გულის შემძვრელი ხრინწით უმღერებს თბილისელებს ლეგენდარული როზენბაუმი - სხვათა შორის, წარმოშობით სოხუმელი.

ასე რომ, იცინეთ და იმხიარულეთ ქართველებო, წინ კიდევ ერთი 27 სექტემბერია.

*ანა ჭავჭავაძე*

## მისი მეგობრები - გზად და ხიდად

გასული კვირის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის ვიზიტი, რომლის დროსაც, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს გადაქცევა შუა აზიის დერეფნად. საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის სახელმწიფოებრივ შეთანხმებებს ამ საკითხზე შეუერთდა ყაზახეთიც. ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ ქართველ ხალხს, რომ შუა აზიის დერეფანში მოგვიწევს ცხოვრება, მით უფრო, რომ ეს გზა არც აბრეშუმისა იქნება და მასზე არც დინჯი აქლემები ივლიან.

მეტად საინტერესო იყო შევარდნაძის პრესმდივნის, ვახტანგ აბაშიძის კომენტარი ნაზარბაევის ვიზიტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დსთ-ს ლიდერთა შეხვედრებზე ყაზახეთის პრეზიდენტი ყოველთვის იზიარებდა საქართველოს პოზიციას და მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამიტომ იგი ჩვენი დიდი მეგობარია.

გასაკვირია, მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვება ქვეყანა და მისი მეთაური, რომელიც არ იყოს საქართველოს, მით უფრო, პირადად შევარდნაძის მეგობარი და არ უჭერდეს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მიუხედავად ამისა, მეგობრების მოხშირებულ ვიზიტებთან ერთად, ეს მთლიანობა ჯერ თანდათან ირღვეოდა - სისხლით, ნგრევით, მოსახლეობის გამოდევნით... ახლა კი - არათუ არ ჩანს მისი აღდგენის პერსპექტივები, არამედ ხდება რღვევის შედეგების დაკანონება. რაშია საქმე, რატომ არაფერში ადგება საქართველოს მისი მეგობრები? რატომ ხდება, რომ საქართველოში მათი ვიზიტების შემდეგ, სწორედაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იძენს?

როგორც ჩანს, მეგობრობის ინსტიტუტის პოლიტიზირებას სამომავლო პერსპექტივებიც აქვს. ამ ვიზიტის დროს, ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებასთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა ლიდერების ქალიშვილების მეგობრობასაც: ბედად, ნაზარბაევის ქალიშვილი მსხვილი ტელემაგნატი ყოფილა, შევარდნაძისა - ჯერ მხოლოდ პრეტენდენტია, მაგრამ, საფიქრალია, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილზე ფილმის გადაღების შემდეგ ამ ამპლუაშიც დაიმკვიდრებს თავს.

ასე რომ, დსთ-ს ქვეყნების უმაღლეს ხელმძღვანელთა კლანურ-ოჯახური მეგობრობა თაობიდან თაობას გადაეცემა და, ვინ იცის, კიდევ რას მოვესწრებით...

*რომანოზ სავინაშვილი*

## "ემნისთი ინთერნეშნლ" საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ

### სასიკვდილო განაჩენი
### ძალადობის გახმაურებული ფაქტები საპატიმროებში

პოლიტპატიმარ ბადრი ზარანდიას 17 ივნისს უზენაესმა სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა აპელაციის უფლების გარეშე. ბადრი ზარანდია არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი, რომელიც 1992 წელს განდევნილ იქნა საქართველოდან. 1993 წელს პრეზიდენტს ჰქონდა წარუმატებელი მცდელობა, დაბრუნებულიყო ხელისუფლების სათავეში. მისი მომხრეები ეპიზოდურად აკონტროლებდნენ ვრცელ ტერიტორიებს დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს ქალაქ ზუგდიდის ყოფილი კომენდანტი ბადრი ზარანდია დაპატიმრებულ იქნა 1994 წლის 20 ოქტომბერს. 1993 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, მას გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი ბანდიტიზმისა და სამშობლოს ღალატისთვის. მის 5 თანაგანსასჯელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 13-დან 15 წლამდე. განსაჯელთა თქმით (ისევე, როგორც სხვა სასამართლო პროცესებზე), მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ძალადობას და ფიზიკურ ზეწოლას აღიარების მიღების მიზნით. მაგალითად, ბადრი ზარანდია აცხადებს, რომ სულ რაღაც რამდენიმე საათში უმძიმესი უპერაციის შემდეგ (გაუკეთდა ფეხის ამპუტაცია), იგი სცემეს ავტომატის კონდახებით. ზვიად შეროზიას ჩვენების თანახმად, მას ფეხებით ჰკიდებდნენ და ისე სცემდნენ, ხოლო ერთხელ გამომძიებელმა პირში ყუმბარა ჩაუდო და აფეთქებით დაემუქრა.

"ემნისთი ინთერნეშნლ" დაჟინებით მოითხოვს ბადრი ზარანდიას მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას, სხვა სასიკვდილო განაჩენებთან ერთად. აგრეთვე მოითხოვს - დაუყოვნებლივ იქნეს გამოძიებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული ყველა საჩივარი. ობიექტური და სამართლიანი გამოძიების შედეგები გაეცნოს ფართო საზოგადოებას და ყველა დამნაშავე პირი წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

**ფრაგმენტი 1996 წლის აგვისტოს თვის მოხსენებიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიის ერთიანობის იდეა ცოცხლობს

**ჩვენი კორესპონდენტის კითხვებს პასუხობს მესამე კავკასიური კონფერენციის მონაწილე, ინგუშეთის სახალხო კრების - პარლამენტის დეპუტატი, აჰმედ ბეკოვი**

კორესპონდენტი: - როგორც ვხედავთ, ერთიანი კავკასიური სახლის იდეა, ესოდენ მიუღებელი ამ რამდენიმე წლის წინათ, სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს. ეს სასიხარულოა მიუხედავად იმისა, თუ ვინ რას გულისხმობს ამ იდეაში - საზოგადოებრივი, ეკოლოგიური, კულტურული ინიციატივების კოორდინაციას, თუ ზოგადკავკასიურ კონსოლიდაციას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ხშირად აღნიშნავენ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ კავკასიელთა პოლიტიკური ერთობა განუხორციელებელია არსებულ ეთნიკურ თუ რელიგიურ წინააღმდეგობათა გამო. რამდენად ღრმა საფუძველი აქვს, თქვენის აზრით, ამ წინააღმდეგობებს?

ახმედ ბეკოვი: - ეს წინააღმდეგობები თავისით არ გაჩენილა და არც ციდან ჩამოვარდნილა. ისინი სრულიად ხელოვნურადაა პროვოცირებული რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ. ამ ორი წლის წინ სტავროპოლში გამოიცა გერმანელი ავტორის, კავკასიის მკვლევარის, იოჰან ვარანბერგის წიგნი "კავკასიური ხელნაწერი". ესაა ადამიანი, რომელმაც მოიარა მთელი კავკასია და კარგად იცნობდა ჩვენს მხარეს. მისი წიგნი არ გამოიცემოდა 130 წლის განმავლობაში. იგი სრულიად მკაფიოდ აცხადებს, რომ თუკი რუსეთი მისცემს კავკასიის ხალხებს გაერთიანების საშუალებას, ისინი სკვითებზე უფრო სახიფათონი იქნებიან და მათზე საშიში მტერი რუსეთს არ ეყოლება. ამდენად, მათი გაერთიანება არ უნდა მოხდეს.

ჩეჩნეთის ომის მაგალითზე ვხედავთ, რომ რუსეთი იყენებს ყველა იმ საშუალებას, რომელიც მოიპოვება მის არსენალში ჯერ კიდევ ერმოლოვის დროიდან მოყოლებული. უცვლელია იდეოლოგიური პრინციპიც - დაყავი და იბატონე. რუსეთი ყველგან ქმნის თავის მორჩილ ორგანიზაციებს, ცდილობს ერების ორად, სამად გახლეჩა-დანაწევრებას. ხომ სრულიად ნათელია, რომ ზავგაევს ჩეჩნეთში არავითარი მხარდაჭერა არა აქვს. მიუხედავად ამისა, ცდილობენ იგი გაუთანაბრონ იანდარბიევს, ადრე ცდილობდნენ დუდაევთან გათანაბრებას. რუსეთს აწყობს ეს - გახლიჩოს ერები, დათესოს ხალხში განხეთქილება და შემდეგ, ვითომ გარედან, ადევნოს თვალყური და დაიკავოს ობიექტური მსაჯულის პოზა. ხოლო თავად ეს ხალხი წარმოსახოს ველურ ტომად, რომელსაც არ ძალუძს თანამოძმეებთან საერთო ენის გამონახვა.

კორ. - საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის აქცენტირებას უკეთებდა აფხაზეთის ომში ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობასა და მთიელ ხალხთა კონფედერაციის ფაქტორს. საგულისხმოა, რომ ამ კონფედერაციამ, რომელიც მართლაც აქტიურობდა აფხაზეთთან მიმართებაში, არავითარი მხარდაჭერა არ გაუწია არც ინგუშებს, არც ჩეჩნებს. რა არის ეს - ორმაგი სტანდარტი, თუ?..

ა. ბ. - მე ვფიქრობ, რომ ამ ორგანიზაციის ზურგს უკან დგას რუსეთი, კერძოდ, მისი სპეცსამსახურები. აფხაზეთის კონფლიქტში გადამწყვეტ როლს სწორედ რუსეთი თამაშობდა, ხოლო კონფედერაცია მხოლოდ ამ ფაქტის შენიღბვას ემსახურებოდა. რუსეთს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა აფხაზეთში თავისი მონაწილეობის ღიად დაფიქსირება და ესაჭიროებოდა ფარი, რომლის მიღმაც თავისუფლად იმოქმედებდა. რომ არა ეს ფაქტორი, რუსეთის ჯარების მოქმედება აფხაზეთში გამოჩნდებოდა როგორც პირდაპირი ინტერვენცია გაერო-ს წევრ ქვეყანაში. ჩეჩნეთში რუსეთს არ სჭირდება ფარი, რადგანაც ითვლება, რომ იგი საკუთარი ქვეყნის ფარგლებში მოქმედებს.

კორ. - თავის დროზე, როდესაც საქართველოსა და ინგუშეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა, ჩეჩნეთი ოდნავ ჩამორჩებოდა. დღეს ჩვენში ამ მხრივ ღრმა კრიზისია, ჩეჩნეთი კი წარმართავს ამ ბრძოლას და, როგორც ჩანს, წარმატებით. როგორ ფიქრობთ, ჩეჩენთა შესაძლო გამარჯვებას მოჰყვება თუ არა ეროვნული ძალების გაძლიერება საქართველოსა და ინგუშეთში?

ა. ბ. - ჩეჩნეთის მოვლენები აუცილებლად იქონიებს გავლენას მთელ კავკასიაზე და ჩემი გამოსვლა კონფერენციაზე სწორედ ამისთვის მინდოდა მიმეძღვნა. ჩემის აზრით, ჩეჩნეთის ომი და პრიგოროდნის რაიონში მომხდარი მოვლენები ის ფაქტორებია, რომლებიც აჩქარებს კავკასიის გაერთიანებას. ამ მაგალითზე კავკასიის სხვა ხალხები ნათლად ხედავენ, რომ რუსეთისთვის ისინი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ; რწმუნდებიან, რომ რუსეთს მათი ბედი არ აღელვებს, არამედ სჭირდება მხოლოდ მიწა, ტერიტორია და მისთვის უმჯობესია, თუ ეს ხალხები აქ საერთოდ არ იცხოვრებენ.

მაგრამ მე მაინც არ მინდა იმას, რაც ახლა ხდება ჩეჩნეთში, ვუწოდო ვინმეს გამარჯვება - ჩეჩნეთის ან რუსეთის. ამაზე ლაპარაკიც კი მიჭირს. მე მაინც ვფიქრობ, რომ საბრძოლო მოქმედებების შეჩერება მხოლოდ ომის ერთ-ერთი ეპიზოდია. მიჭდა დავიჯერო, რომ აღარ განახლდება ელცინგრაჩოვის მიერ გაჩაღებული ეს ბინძური ომი. ომი, რომელშიც არ არის დაცული არავითარი წესები და პრინციპები. მაგრამ არ მჯერა - ვფიქრობ, ომი მაინც განახლდება.

კორ. - კავკასიაში იყო ორი აღიარებული ლიდერი - ზვიად გამსახურდია და ჯოჰარ დუდაევი, რომელთაც შეეძლოთ კავკასიის გაერთიანება. მიგაჩნიათ თუ არა რეალურად კავკასიის ერთიანობის მიღწევა მათ გარეშე?

ა. ბ. - მე ვფიქრობ, რომ ზვიად გამსახურდია და ჯოჰარ დუდაევი ცარიელ ადგილზე არ მოსულან. ისინი იდეამ შექმნა. იდეამ, რომელიც მოიცავს ჩვენი ხალხის ცნობიერებას, მოუწოდა მათ ჩამდგარიყვნენ მის სამსახურში. მთავარია, რომ ეს იდეები არ მომკვდარა, დღესაც ცოცხლობს და აუცილებლად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მათ განახორციელებენ. ალბათ, გამსახურდია და დუდაევი ამ საკითხებს უფრო სწრაფად მოაგვარებდნენ - ისინი კავკასიის დიდი პატრიოტები, ინტელექტუალები იყვნენ. შესაძლოა, მათი საქმის მემკვიდრენი ჩამოუვარდებიან კიდეც ამ თვისებებით, მაგრამ იდეა ცოცხალია, პროცესი უკვე დაიწყო. ხოლო რუსეთი, თავისი ქმედებით, უნებლიეთ აჩქარებს კიდეც ამ პროცესს და მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი გაგრძელდება.

---

"კავკასიური სახლის" მესამე კონფერენციაზე კლასიკური კავკასიური კონფლიქტი გათამაშდა: სომხები დაერივნენ აზერბაიჯანელებს, ინგუშები - ოსებს, ქართველები - ერთმანეთს...

# შიდაეთნიკური სკანდალი "კავკასიურ სახლში"

**რატომ დატოვეს კავკასიური სახლი გერმანისტმა დიასახლისმა და ქსენოფობიით შეჭირვებულმა დელეგაციებმა**

ჩეჩნეთში რუსის ჯარის სამარცხვინო მარცხისა და გროზნოში ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დაბრუნების შემდეგ საეჭვოდ გააქტიურდნენ ე.წ. კავკასიური კავშირები და მოძრაობები, რომელთა ადრინდელმა მოღვაწეობამაც თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ისინი მოსკოვის ხელდასმით არიან შექმნილნი და რუსი იმპერიალისტების ზრახვების აღმსრულებლებლად გვევლინებიან კავკასიის ტერიტორიაზე.

ამ ორგანიზაციათა შორის უპირველესი მთიელ ხალხთა კონფედერაციაა, მუსა შანიბოვის მეთაურობით. აღნიშნულმა ორგანიზაციამ სახელი გაითქვა რუს-აფხაზთა შენაერთებისთვის დახმარების გაწევით ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. "კონფედერაციის" მესვეურები აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ თავისუფლებისმოყვარე აფხაზ ხალხს და ვერ დაუშვებენ ვერც ერთი კავკასიელი ხალხის უფლებების შელახვას. თუმცა, მანამდე იყო კონფლიქტი ინგუშეთში, სადაც ინგუშთა სამართლიან მოთხოვნას - დაბრუნებულიყვნენ საკუთარ მიწა-წყალზე, რუსებმა ინგუშთა მიმართ განხორციელებული ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტით უპასუხეს. მთიელ ხალხთა კონფედერაციის "თავისუფლებისმოყვარე" ხმა ამ შემთხვევაში არ გვსმენია... ასევე მორჩილი დუმილი ირჩიეს მათ რუსეთ-ჩეჩნეთის ომშიც. მაშინ, როდესაც თვით რუსეთის საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი გმობდა სისხლის ღვრას ჩეჩნეთში, "კონფედერაციამ" ერთი საპროტესტო განცხადებაც არ გააკეთა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა კრემლისადმი მონური ერთგულება. ამავე კოლაბორაციონისტთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ გამოსკოვებული დაღესტნელი - რამაზან აბდულატიპოვი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მახაჩკალაში სცადა "კავკასიური კონფერენციის" მოწვევა. ამ ინიციატივას ქართველი "კავკასიური ორიენტაციის" "კრემლისტებიც" დადებითად გამოეხმაურნენ.

მაინც რით არის გამოწვეული ზემოხსენებულ ორგანიზაციათა ამგვარი გააქტიურება სწორედ დღეს? - საქმე ის გახლავთ, რომ ჩეჩნეთის ომმა ძირეულად შეცვალა სიტუაცია კავკასიაში. მოსკოვში შესანიშნავად იციან, რომ ჩეჩნების გმირული ბრძოლა უთუოდ მისცემს ბიძგს კავკასიური დაუმორჩილებლობის ახალ მოძრაობას და ამიტომაც აძლიერებენ, ააქტიურებენ თავიანთ მარიონეტებს. გასაგებია ისიც, რომ იმ ზღვა სისხლის შემდეგ, რაც რუსებმა ბოლო წლებში დაღვარეს კავკასიაში, მათ აშკარა მხარდამჭერებს აქ წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. სწორედ ამიტომ წამოიწყეს მიზანმიმართული მოძრაობა, რომლის ძალითაც მოსკოვის ადგილობრივი მარიონეტები პატრიოტებად, მშვიდობისმყოფელებად, ჩაგრულთა ქომაგებად, ერთიანობისთვის მებრძოლებად, ზოგჯერ, კი, სალონური კდემის საბურველში გახვეულ პატრიოტ-კულტუროსნებად უნდა წარმოგვიდგინონ.

ამავე ჭრილში უნდა განვიხილოთ საქართველოში აღმოცენებული ე.წ. "კავკასიური სახლის" მოღვაწეობაც. მას შემდეგ, რაც ე. შევარდნაძემ "ფაფახიანი ჩეჩნების" რამდენიმე წლიანი გინების შემდეგ, თავისი გლობალურ კავკასიურ "მოწესრიგებასთან" დაკავშირებული, მოულოდნელი და უკვდავი იდეები გაგვაცნო, "კავკასიური სახლიც" შესამჩნევად გააქტიურდა. ეს ორგანიზაცია დიდად ზრუნავდა თავის გარეგნულ იერ-სახეზე - გმობდა ომს ჩეჩნეთში, არ ეძახდა კავკასიელებს სუნიან-ფაფახიანებს, ხმას იმაღლებდა ამ სამარცხვინო პროპაგანდის წამომწყებთა წინააღმდეგ, ქადაგებდა კავკასიურ ერთობას... ერთი სიტყვით, "კავკასიური სახლის" დიასახლისმა - ნაირა გელაშვილმა იმ იდეების "პოპულარიზაციას" მიჰყო ხელი, რომელთა ერთგულებისთვისაც ცოტა ხნით ადრე საქართველოს პრეზიდენტს - ზვიად გამსახურდიას დიქტატორსა და მტარვალს უწოდებდა.

ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ორგანიზაციისადმი, მისი პატრიოტიზმისა და კავკასიური ერთობის პრინციპების ერთგულების მიმართ, რომელსაც რამდენიმე თვის წინ გამოვთქვამდით, სამწუხაროდ, გაამართლა "კავკასიური სახლის" მესამე კონფერენციამ.

კონფერენცია სამ დღეს გაგრძელდა და, როგორც გაზეთი "ახალი თაობა" წერს, "პირველ დღეს ყველას უხაროდა სიცოცხლე ერთიან, ძლიერ კავკასიაში და რომანტიკით გაზავებულ ნათელი მომავლის ზღვაში ცურავდნენ, ისმოდა პათეტიკური მოწოდებები გაერთიანებისკენ, თანადგომისა და მეგობრობისკენ, ხოლო "კავკასიური სახლის" მასპინძელი ნაირა გელაშვილი სტუმრებმა ლამის ერთიანი კავკასიური აკვნის დამრწევად და კეთილ დედად შერაცხეს."

ამ განწყობილების საპირისპიროდ, მეორე დღე დაძაბული აღმოჩნდა. შევარდნაძის მუდმივმოქმედმა აგიტატორმა - გიორგი მაისურაძემ ქართველებს, ერთი მეზობელი ერისთვის დამახასიათებელი სიძულვილით, ქსენოფობიაში დაგვდო ბრალი, დაგმო ქართული ნაციონალიზმი და ის "სტერეოტიპები", რომლებიც ქართველებს ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ჩაგვინერგეს ჩვენმა მეფეებმა (მას შემდეგ, რაც ნაირა გელაშვილმა ქართველთა ჩამორჩენილობის საბუთად "ვეფხისტყაოსანი" და მისი ავტორი გაიხადა, დავით აღმაშენებლის, თამარის დროც დადგა... ილიას მესამედასისებური ლანძღვაც, ჰაი-ჰაი, რომ აღარ ითვლება "მოვეტონად"...).

კონფერენციის მესამე დღეს წინააღმდეგობა რეზოლუციის საკითხმა დაბადა. ეს რეზოლუცია, რომელიც "კავკასიურმა სახლმა" მოამზადა და რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, თანხმობაში მოდიოდა "მსოფლიო წესრიგის" მედროშე "კედელთმნგრევლებთან", ბევრ მონაწილეში უკმარობის გრძნობას ბადებდა.

ორგანიზაცია "ქართველ პატრიოტთა ლიგის" მრავალგზის თხოვნას - მიეცათ მისი წევრებისთვის სიტყვით გამოსვლის უფლება, ნაირა გელაშვილი და მისი დამფუძნებელი გერმანელები მტკიცე უარს უხვედრებდნენ.

ბოლოს "ქართველ პატრიოტთა ლიგის" თავმჯდომარემ, - გიორგი ზაალიშვილმა, თქვა, რომ მას საქართველოში არ სჭირდება არავის ნებართვა, რათა მიიღოს სიტყვით გამოსვლის უფლება და ავიდა ტრიბუნაზე. პასუხად, ნ. გელაშვილმა კონფერენციის დახურვა გამოაცხადა და თვალთახედვის არედან გაქრა. გ. ზაალიშვილის გამოსვლას, რომელშიც იგი ცდილობდა დაეცვა ქართველი ხალხის ინტერესები კონფერენციაზე მოზღვავებული ანტიქართული (ისევ და ისევ ქართველთა მხრიდან) გამოხდომებისგან, მონაწილეთა უდიდესი ნაწილი ტაშით შეხვდა.

ხოლო მოვლენათა ამგვარი განვითარება არ ეპიტნავათ სომხებს და ოსებს, (!) რომლებიც მანამდე სულგანაბული ტკბებოდნენ თუნდაც გ. მაისურაძის გამოსვლით. ჩეჩნეთის წარმომადგენელმა - რამზათ გოიტიმიროვმა სთხოვა ნაირა გელაშვილს, სომეხთა და ოსთა დელეგაციებს, შემოსულიყვნენ და მიეღოთ რეზოლუცია. ნ. გელაშვილი დარბაზში აღარ დაბრუნებულა. გამოითქვა ეჭვი, რომ ეს ყოველივე გაკეთდა, რათა კონფერენციას არ მიეღო ჩეჩენთა მხარდამჭერი რეზოლუცია და ამიტომ არ დაბრუნდა დარბაზში "კავკასიური სახლის დიასახლისი". მცირე ხნის შემდეგ რ. გოიტიმიროვმა წაიკითხა რეზოლუცია, რომლითაც კონფერენციის მონაწილენი მიმართავდნენ მსოფლიოს ხალხებს, მთავრობებსა და პარლამენტებს, ეცნოთ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა.

ტაშის გრიალში, ფეხზე ამდგარმა კავკასიელებმა - ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ქართველებმა - მიიღეს რეზოლუცია...

...დარბაზში არ იყვნენ სომხები, რომელთა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. აგრეთვე - გიორგი მაისურაძე, რომელიც "ქართული ქსენოფობიით" შეჭირვებულ ჰაიასტანელთ თუ გაჰყვა მეგზურად...

*ნუგზარ წიკლაური*

---

# ბრიტანელი ექსპერტები საქართველოში

საქართველოში მომხდარ ბოლოდროინდელ მოვლენათაგან აღსანიშნავია ის აჟიოტაჟი, რომელიც გამოიწვია აჭარის ხელმძღვანელობის უარმა ეუთო-ს წარმომადგენლებისთვის არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს აჭარის ხელმძღვანელობის მიმართ, ამგვარი ქმედება არ იწვევს რიგით ქართველში გაკვირვების ან აღშფოთების გრძნობას. ეს განწყობა თავად ეუთო-ს მისიის საქმიანობითაა განპირობებული, რისი მიზეზიც გახდა საქართველოში ჩატარებული ბოლო ორი არჩევნების მათ მიერ სრულიად არაკომპეტენტური და აშკარად არაკეთილსინდისიერი შეფასება. მოსახლეობის სრული გულგრილობა, გნებავთ, უნდობლობა არის ის ლოგიკური შედეგი, რომელიც გამოიწვია საერთაშორისო ორგანიზაციათა ლამის მაამებლურმა დამოკიდებულებამ საქართველოს მმართველი რეჟიმის მიმართ.

სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ბრიტანეთის ჯგუფი, რომლის წევრები - ქალბატონი ქრისტინ სთოუნი და ბატონი მარკ ალმონდი 17-20 სექტემბერს იმყოფებოდნენ საქართველოში.

ამ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ საქართველოში ადამიანის უფლებათა უმძიმესი მდგომარეობის მიუკერძოებელმა ასახვამ და 1992 წლის შემდეგ ჩატარებულ ორივე არჩევნებზე უხეში დარღვევების პირუთვნელმა აღნუსხვამ, დიდად შეუწყო ხელი საქართველოს შესახებ მართალი ინფორმაციის გავრცელებას მსოფლიოში.

ბრიტანელი ექსპერტების ამჟამინდელი ვიზიტის მიზანს წარმოადგენს იმის შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებს საქართველო საერთაშორისო მოთხოვნებს, რათა გაწევრიანებულ იქნეს ევროსაბჭოში. შეგახსენებთ, რომ საქართველოს განაცხადი ევროსაბჭოს მიერ განხილულ იქნება მომავალი წლის იანვარ-თებერვალში.

ქრისტინ სთოუნი და მარკ ალმონდი შეხვდნენ პარლამენტის პატიმართა ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს - ელენე თევდორაძეს, გენერალური პროკურორის მოადგილეს - ანზორ ბალუაშვილს; საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებს, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წარმომადგენლებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის (ISHR/IGFM) საქართველოს ჯგუფს, პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" წევრებს, მოინახულეს განსჯილი პოლიტპატიმრები დახურული რეჟიმის საპყრობილეში და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ესაუბრნენ პოლიტპატიმართა ადვოკატებს. მიუხედავად წინასწარმიღწეული შეთანხმებისა, ბრიტანელ ექსპერტებს არ დართეს ნება შეხვედროდნენ სიკვდილმისჯილ პატიმრებს - პეტრე გელბახიანსა და ირაკლი დოკვაძეს (ბადრი ზარანდიასთან შეხვედრის თაობაზე იმთავითვე უარყოფითი პასუხი მიიღეს ბრიტანელმა დამკვირვებლებმა); ვერ იქნა მიღწეული თანხმობა, გასაუბრებოდნენ განსასჯელ პოლიტპატიმრებს. 20 სექტემბერს დაგეგმილი იყო ქობალიას, ბოკუჩავას, ძიძიგურისა და მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესზე დასწრება, მაგრამ მოსამართლე ალადაშვილმა იმ დღეს სხდომა გადადო.

მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრებმა ვრცელი მასალა შეაგროვეს საქართველოს შესახებ და გაემგზავრნენ ერევანში, სადაც ოფიციალური დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობას მიიღებენ საპრეზიდენტო არჩევნებში.

ვრცელ ინტერვიუს ქალბატონ ქრისტინ სთოუნთან და ბატონ მარკ ალმონდთან შემოგთავაზებთ გაზეთის შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უარს ვაცხადებთ ამ უნიჭო სპექტაკლში მონაწილეობაზე

## სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს - ა. ალადაშვილს ვახტანგ ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავასა და ზვიად ძიძიგურის განცხადება

1996 წლის 2 სექტემბერს, სსსკ 279-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წინაშე დავაყენეთ შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების გამოძახების შესახებ. ჩვენს მიერ წარმოდგენილ 140 კაციან სიაში შეყვანილნი იყვნენ პირები, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ საბრალდებო დასკვნაში მოყვანილ ფაქტებთან. ბრალდების მხარემ უარი განაცხადა დაკმაყოფილებულიყო შუამდგომლობა შემდეგი არგუმენტაციით: საქმის მასალებში წარმოდგენილ ფაქტებთან დაკავშირებით დაიკითხა მრავალი მოწმე, რამაც ნათელი მოჰფინა ამ საკითხებს. სიაში მოყვანილ დამატებით მოწმეებს არ შეუძლიათ რაიმე ახალი უთხრან სასამართლოს ამ ფაქტების შესახებ. განსასჯელთა მხარე ცდილობს პროცესის გაჭიანურებას.

პროკურატურის წარმომადგენლის მიერ მოყვანილი არგუმენტების საწინააღმდეგოდ, სასამართლოს განვუცხადეთ, რომ 200-ზე მეტი მოწმე, რომელიც დაკითხულია სასამართლო პროცესზე, წარმოდგენილია ბრალდების მიერ და მიგვაჩნია, რომ ეს მოწმეები, თავიანთი ნაკლებკომპეტენტურობის გამო, ვერ ფლობენ სრულ და ობიექტურ ინფორმაციას საქართველოში 1991-93 წ.წ. მიმდინარე მოვლენების ირგვლივ. შეუძლებელია, პროკურორებმა იცოდნენ, ჩვენს მიერ გამოძახებული მოწმეები ეტყვიან თუ არა სასამართლოს რაიმე ახალს. წარმოუდგენელი სიბეცეა იმის მტკიცება, რომ მაშინდელი და დღევანდელი მაღალი თანამდებობის პირები ახალს ვერაფერს ეტყვიან სასამართლოს ბრალდების მიერ წარმოდგენილ, საქმეში ჩაუხედავ მოწმეთაგან განსხვავებით.

რაც შეეხება პროცესის გაჭიანურებას, განსასჯელთა მხარე არაა ამით დაინტერესებული. პროცესის გაჭიანურებით, პროკურატურისეული ლოგიკით, დაინტერესებულია თავად პროკურატურა, რომელმაც სასამართლოზე წარმოადგინა 512 კაციანი მოწმეთა სია. ამასთან, 28 დაზარალებული პროცესის მსვლელობისას კვლავ აყენებს დამატებით შუამდგომლობებს დამატებით დასაკითხ მოწმეთა შესახებ.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის მიუხედავად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ა. ალადაშვილმა, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, საპროცესო კოდექსის დარღვევით, უარი განგვიცხადა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მან ბრძანა, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, რაც გამოიხატება იმაში, რომ დაიკითხება 8 მოწმე ამ 140-დან. ამასთან, ამ 8-დან სამის დაკითხვა დამატებით მოწმედ ბრალდების მხარემაც მოითხოვა.

სასამართლომ უარყოფითი განჩინება ჩვენს შუამდგომლობაზე გამოიტანა მეორე დღეს - 3 სექტემბერს, თითქოს შუამდგომლობაზე უარის თქმა მოტივაციის გარეშე იმავე დღეს არ შეიძლებოდა. აშკარაა, მოსამართლემ უარყოფითი განჩინება გამოიტანა სასამართლო პროცესის ფაქტობრივ ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდეგ. ჩვენთვის ნათელია, რომ სასამართლო ღიად მოქმედებს ბრალდების მხარის სასარგებლოდ, არ გვაძლევს საშუალებას, დამატებითი მოწმეების დაკითხვის შედეგად დავამტკიცოთ, რომ 1991-92 წ.წ. მიჯნაზე საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ჩვენი - კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა - ქმედებები 1991-93 წ.წ. იყო კონსტიტუციური, კანონიერი.

სასამართლო, ალადაშვილის ხელმძღვანელობით, დანაშაულებრივად თავს არიდებს გამოიკვლიოს 1991-92 წ.წ. მიჯნაზე საქართველოში მომხდარი მოვლენები, რითაც ხელს უწყობს და აგრძელებს გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლების კურსს - მიჩქმალოს ეს მოვლენები. ამასთან, სხდომებზე უზენაეს საბჭოს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და კანონიერ მთავრობას სისტემატურად უწოდებენ ყოფილს, რითაც ნათელი ხდება, რომ თავისთვის მომგებიანი შეფასება უზენაეს სასამართლოს ამ მოვლენებისთვის მიცემული აქვს არა კანონის თანახმად, არამედ მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე.

უზენაეს სასამართლოს, რომელსაც ამავე დროს შეთავსებული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია იმ კონსტიტუციით, რომლის მიხედვითაც არჩეულია თავად, 1991-92 წ.წ. მოვლენებისადმი აქვს ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ესიამოვნება ედუარდ შევარდნაძეს და მის არაკანონიერ ხელისუფლებას. უზენაესი სასამართლო 1991-92 წ.წ. მოვლენების შეფასებისგან თავს იკავებს მაშინ, როცა ჩვენ - კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს - ბრალად გვედება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს - ალადაშვილს ეშინია მოწმეებად გამოიძახოს ის პირები, ვისი აქტიური ხელშეწყობითა და მონაწილეობით მოხდა 1991-92 წ.წ. სამხედრო გადატრიალება და ვისი ნების შემსრულებელიცაა დღეს ეს ორგანო (მაგალითისთვის დავასახელებთ ერთს - ედუარდ შევარდნაძეს).

სასამართლო სხდომების დაწყებისთანავე ჩვენ ამ პროცესს ვუწოდეთ სპექტაკლი, ფარსი, ხოლო სასამართლო-პროკურატურას - ფაქტობრივი ხელისუფლების ნების განმახორციელებელი იურიდიული კანტორა და ვაცხადებთ, რომ 7 თვის განმავლობაში, რაც მიმდინარეობს სასამართლო სპექტაკლი, უფრო განგვიმტკიცდა ჩვენი შეხედულება ამ კუთხით. სპექტაკლის მსვლელობისას გავარკვიეთ, რომ განსასჯელთათვის საპროცესო კოდექსით მინიჭებული მიზერული უფლებები არსებობს მხოლოდ ქაღალდზე. გავარკვიეთ, რომ, ფაქტობრივად, არა გვაქვს დაცვის უფლება, სიტყვის თავისუფლება, სულიერი ცხოვრების უფლება. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა წამოჭრილი არც ერთი საკითხი, არც ერთი შუამდგომლობა, სადაც განსასჯელთა არგუმენტაცია, მოტივაცია, კანონის შესაბამისად დაყენებული მოთხოვნები სასამართლოს გაეთვალისწინებინოს. ბრალდების მხარე და სასამართლო მოქმედებს ერთმანეთთან უნისონში, შეხმატკბილებულად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უარს ვაცხადებთ სპექტაკლის შემდგომ მსვლელობაში მონაწილეობაზე. უზენაესი სასამართლოს წევრს ალადაშვილს ვაძლევთ საშუალებას, ჩვენს ნაცვლად, უზენაესი სასამართლოს გადატრიალებისშემდგომი ტრადიციის შესაბამისად, გაასამართლოს ცარიელი სკამები. ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორ განაჩენს გამოიტანს მოსამართლე, რომელიც ყოველ ნაბიჯზე არღვევს კანონს.

*4 სექტემბერი, 1996 წელი*

**ჩვენი კომენტარი**

# ხელისუფლებას ეშინია აფხაზეთის მოვლენათა მოწმეების

პრინციპულად მივიჩნიეთ ამ დოკუმენტის გამოქვეყნება ახლა, როცა სასამართლო სხდომები, ტრადიციისამებრ, კვლავ ცარიელი სკამებისთვის ტარდება - განსასჯელთაგან დარბაზში დარჩა მხოლოდ ლოთი ქობალია.

მაშ ასე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსასჯელთა მიერ დასახელებული მოწმეები ახალს ვერაფერს შემატებდნენ ძიებას. რასაკვირველია, ალადაშვილმა ეს წინასწარ იცის და მართლაც ასეა, როდესაც სასამართლო, ფაქტობრივად, პროკურატურის პირისფარეშია და საბრალდებო დასკვნის მიღმა ვერ იხედება. ალადაშვილმა ეს კიდევ ერთხელ აღიარა და ამისთვის მადლობის მეტი არაფერი ეთქმის - აკი ვამბობდით კიდეც, ეს ხელისუფლება ამაოდ ცდილობს შენიღბოს თავისი უკანონობა, ხოლო როცა ასე აშკარად ავლენს შავი რევოლუციის სინდრომს, თავადვე იხსნის ნიღაბს.

რაც შეეხება მოწმეებს:

ედუარდ შევარდნაძე, რომელიც განსასჯელთა მიერ წარმოდგენილი 140 კაციანი სიის თავში იყო დასახელებული, აცხადებდა და კვლავაც აცხადებს, რომ თავადაა მოწმე აფხაზეთისა და სამეგრელოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების. იგი მთავარსარდლის სტატუსით იმყოფებოდა ალყაშემორტყმულ სოხუმში; ქალაქის დაცემას რამდენიმე დღე აკლდა, როდესაც რუსეთის საინფორმაციო არხებისთვის მიცემულ ინტერვიუებში აცხადებდა - ქალაქი საიმედოდაა დაცული და ჯერჯერობით არ არის ევაკუაციის აუცილებლობაო. ამის გამო რუსეთისა და უკრაინის მიერ ჰუმანური მისიით გამოგზავნილი გემები სოხუმის სანაპიროდან მოშორებით იდგნენ და ელოდნენ, როდის დადგებოდა ამის საჭიროება. ნუთუ შევარდნაძემ არ უნდა განუცხადოს სასამართლოს, ვინ შეუშალა მას ხელი ევაკუაციის დროულად განხორციელებაში - იქნებ სანაპიროს ბლოკირებაც კანონიერი ეროვნული გვარდიის ძალებით ხდებოდა?

ამის შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა - აფხაზეთი დაეცაო - და თვითონ შვიდობიანად გამოაღწია თბილისში მაშინ, როდესაც ასეულათასობით ადამიანი ჯოჯოხეთის გზებით მოდიოდა აღმოსავლეთისკენ, როდესაც უკვე დაცემულ ქალაქში ჯერ კიდევ იბრძოდნენ ქართული ნაწილები. როგორ, რა გზით, ნუთუ ქობალიამ არ გადაუკეტა გზა? რამდენადაც ვიცით, ჭუბერის გზით მას არ უვლია. ან იქნებ "დიდმა პოლიტიკოსმა" რაიმე სხვა გზა იცოდა? მაშინ სხვებს რატომ არ გაუმხილა, იქნებ ამ გზით მაინც ეხსნათ ყინულსა და თოვლში ჩარჩენილი ათეულათასობით ადამიანი?

შევარდნაძეს რუსეთის ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში (სასამართლოზე ეს პუბლიკაცია წაკითხული იქნა და დაერთო საქმის მასალებს) გაცხადებული აქვს, რომ თავად იმყოფებოდა სამტრედიაში, როდესაც იქ რუსეთის სამხედრო ნაწილები, მისი თქმით, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ მოწინააღმდეგეზე. გარდა ამისა, ზვიად ძიძიგურის დაპატიმრების შემდეგ, 3 ივლისის რადიოინტერვიუში მან ხაზგასმით მიუთითა, რომ ძიძიგური ის პიროვნებაა, რომელმაც დაანგრია სამტრედია, გადაწვა სოფლები და ა. შ. ამგვარი ფაქტი სასამართლოზე არ დადასტურებულა, ბრალდების მხარის არც ერთ მოწმეს ეს არ უთქვამს. მაშ როგორ შეიძლებოდა ასეთი ძვირფასი მოწმის დაკითხვაზე უარის თქმა?!

დაბოლოს, სექტემბრის პირველ ნახევარში დიდუბის რაიონის სასამართლოში მიმდინარე თენგიზ კიტოვანის, ირაკლი სურგულაძისა და ვალერი ფისუნის პროცესზე დამატებითი მოწმის სახით დაიკითხა თენგიზ სიგუა, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტები მოუთხრო სასამართლოს აფხაზეთის ომსა და ამ კონფლიქტის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. თენგიზ კიტოვანმა ასევე მეტად მნიშვნელოვანი განმარტებები მისცა ამავე საკითხზე. ორივეს ჩვენებები უშუალოდ ეხება უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პროცესზე სსკ 65-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ ბრალდებას - სამშობლოს ღალატი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის გზით. ეს პირები რომც არ ყოფილიყვნენ დასახელებულნი მოწმეებად, ალადაშვილს თვითონ უნდა გამოეძახებინა ორივე და ბევრი სხვაც, ოდნავ მაინც რომ იყოს დაინტერესებული ობიექტური სასამართლოს ჩატარებით, ან თუნდაც ამგვარი კამუფლაჟის შექმნით.

მაგრამ სწორედ ამის ეშინია ხელისუფლებასაც და მისი სისხლიანი სამზარეულოს ყასბებს - პროკურატურასა და სასამართლოს. აკი ერთხელ დასცდათ კიდეც შეშინებულებს - დაანებეთ თავი აფხაზეთზე კითხვების დასმას, ეს თქვენს ბრალდებას არ ეხებაო.

ასე რომ, აფხაზეთის მოვლენათა მოწმეების ეშინიათ. ეშინოდათ ადრეც, თან იმდენად, რომ ზომებიც მიიღეს - ნაწილმა მშვიდობიანი ქუჩების ქვაფენილებზე დაანთხია სისხლი და პატივით დაიკრძალა, ნაწილი გადარჩა... თუმცა, ვინ იცის...

**18 სექტემბერს სასამართლო კოლეგიის სხდომაზე ჩვენების მისაცემად გამოძახებული იყო საქართველოს კანონიერი ეროვნული გვარდიის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, განსასჯელ ვახტანგ ქობალიას საზოგადოებრივი დამცველი თამარ ლომიშვილი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა მას.**

# მოწმე ლომიშვილის ჩვენება

კორესპონდენტი: - ქნო თამარ, რა საკითხების ირგვლივ დაიკითხეთ სასამართლო გამოძიების მიერ?

თამარ ლომიშვილი: - როგორც საზოგადოებრიობას ახსოვს, მოსამართლე ალადაშვილის განჩინებაში (როდესაც დარბაზი დამატოვებინა) ნათქვამი იყო, რომ ჩვენება უნდა მიმეცა როგორც ეროვნული გვარდიის პრესსამსახურის ხელმძღვანელს. სინამდვილეში, მე დავიკითხე სრულიად სხვა საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოს აინტერესებდა ხობში ჩემი ჩასვლის დეტალები. მე იქ ივნისის თვეში გახლდით. ჩემს მიზანს შეადგენდა დაცვისთვის საჭირო მასალის შეგროვება.

კორ. - რა მასალებზეა საუბარი?

თ.ლ. - ძირითადად, ხობში მომხდარი მკვლელობების ორ ეპიზოდთან დაკავშირებით. მე ადრე ხობის მცხოვრებლების რამდენიმე განცხადება მქონდა მიღებული და საჭირო იყო, გადამემოწმებინა მიღებული ინფორმაცია. სასამართლო დაინტერესდა, თუ ვისთან ვიყავი და რა შინაარსის საუბრები მქონდა მათთან. მეც მოვახსენე, რომ ვიყავი მოწმე ეთერ ბიწაძესთან, რომელმაც წინასწარი გამოძიებისას მისცა ჩვენება, რომ იყო მკვლელობის თვითმხილველი. ვიპოვე მისი საცხოვრებელი კორპუსი, იგი მესამე თუ მეოთხე სართულზე ცხოვრობს. როცა ვუთხარი ვინ ვიყავი, კარიც კი არ გამიღო, მხოლოდ კივილი გაისმა ბინიდან - "წადი ჩქარა, თორემ შენც მოგკლავენ, მეც და ქობალიასაც, თავს უშველეო." გამოვბრუნდი და მკვლელობის ადგილის დასათვალიერებლად წავედი. ბიწაძის განცხადებიდან ვიცოდი, რომ იგი დიაბეტით არის ავად და ამის გამო დაქვეითებული აქვს მხედველობა. მაინტერესებდა, რამდენად შეეძლო თავისი ბინიდან ქობალიას დანახვა, ან მისი ამოცნობა. დათვალიერების შედეგად დავრწმუნდი, რომ მისი ბინიდან ეს ადგილი საკმაოდ მოშორებულია და შეუძლებელი იყო იქიდან რაიმე დაენახა. წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ამ დროს მოხუცი ქალი მომიახლოვდა, მოტირალივით იცემდა ხელებს თავში. მითხრა, რომ ის არის ეთერ ბიწაძე, რომ მისი ბინა პოლიციის და უშიშროების გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშაა და ამ წუთებშიც უეჭველად ვიდეოფირზე იღებენ ჩვენს საუბარს, ამიტომაც, ნუ აყოვნებ, წადი ჩქარა, თავს უშველეო. იგი ძალზე შეშინებული იყო, ტირილს და გოდებას არ წყვეტდა და მეც წამოვედი.

კორ. - ე.ი. თქვენ გაარკვიეთ რაც გსურდათ?

თ.ლ. - დიახ, ნაწილობრივ. მე სხვა განცხადებებიც მქონდა. შემდეგ გელა ქაცარავას ოჯახისკენ გავემართე, რადგან მისი მშობლების განცხადება მქონდა მიღებული. როდესაც მის დედას გავეცანი, ტირილი აუვარდა - დამიბრუნეთ შვილი, მიშველეთ რამეო. მან მიამბო, რომ 1993 წლის ნოემბერში მისი შვილი დაიჭირეს როგორც "ზვიადისტი" და საშინელი მუქარის ქვეშ გამოსძალეს ცრუჩვენება ხობში მომხდარ მკვლელობათა შესახებ. რამდენიმე ხანში გაათავისუფლეს, მაგრამ პოლიცია ხშირად ჩხრეკდა არამარტო მათ სახლს, არამედ ახლოს მცხოვრებ ნათესავის ბინასაც კი. ისინი ეძებდნენ იარაღს. პოლიცია განუწყვეტლივ აყენებდა შეურაცხყოფას ქაცარავების ოჯახს. გელა ქაცარავას მამასაც ვესაუბრე. გაირკვა, რომ მათი შვილი რამდენჯერმე ყოფილა პოლიციაში დაბარებული, სადაც მას გამუდმებით ემუქრებოდნენ, რომ არ შეეცვალა ჩვენება. ერთხელ, მოწმე ბონდო კუტალიასთან ერთად, ხელბორკილებით ჩამოიყვანეს თბილისში, უზენაეს სასამართლოში. იქ კუტალიას ჩვენების დროს ხელბორკილი მოხსნეს და რაღაც ხანი უმეთვალყურეოდ აღმოჩნდა. მან დრო იხელთა და გაიქცა. ამის შემდეგ იგი აღარ ჩანდა. მშობლებს ეშინოდათ, რომ მათი შვილი კვლავ პოლიციაში ჰყავთ და აწამებენ ცრუჩვენების გამოძალვის მიზნით. ისინი დახმარებას ითხოვდნენ შვილის პოვნაში.

ვურჩიე მიემართათ სამართალდამცავი ორგანიზაციებისთვის და საჯაროდ მისამართოდ ალადაშვილისთვის, რათა უზრუნველეყოთ გელა ქაცარავას უსაფრთხოება და მის მიერ ობიექტური ჩვენების მიცემა სასამართლოსთვის. ასევე ვურჩიე, საქმის კურსში ჩაეყენებინათ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები.

ჩემმა საქციელმა მოსამართლე ალადაშვილის რისხვა გამოიწვია. მან განმიცხადა, რომ არ მქონდა უფლება ჩამეტარებინა გამოძიება. მე ვუპასუხე, რომ საპროცესო კოდექსის შესაბამისად, როგორც საზოგადოებრივ დამცველს, მაქვს უფლება მოვიპოვო განსასჯელის უდანაშაულობის მტკიცებულებები. ამასთან, დავინტერესდი - მე, როგორც საზოგადოებრივ დამცველს, რის საფუძველზე მეკრძალება დაცვისთვის საჭირო დოკუმენტების გადამოწმება იმ დროს, როდესაც ჟურნალისტს (ვთქვათ, იგივე თეა სხიერელს) სასამართლო პროცესის ჩატარებამდე, პროკურატურის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით, მოწმეებისგან "ინტერვიუს" აღებისა და ტელევიზიით ჩვენების უფლება აქვს, რაც გამოძიებაში აშკარა ჩარევას წარმოადგენს?

**კორ. - მოსამართლემ დაგისახელათ შესაბამისი კანონი?**

თ.ლ. - არა, არავითარი სამართლებრივი დოკუმენტი მას არ დაუსახელებია. მოსამართლემ მომიგო, რომ მე, თურმე, უფლება მქონდა მასალა მომეპოვებინა მხოლოდ დარბაზში.

**კორ. - პროცესის მონაწილეთაგან სხვა საკითხებით არავინ დაინტერესებულა?**

თ.ლ. - არა. დაზარალებულმა ქალბატონმა ლია ბოლქვაძემ მკითხა მხოლოდ, თუ რატომ გადავეცი გაზეთ "რეზონანსს" ხობში მცხოვრები სვეტლანა ბუსქანძის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი დააყაჩაღეს სამთავრობო ჯარის წევრებმა და მათთან ერთად იყო ტელეოპერატორი დავით ბოლქვაძე. მე ვუპასუხე, რომ დავეყრდენი ეუთოს დეკლარაციას - ერთი ადამიანის უფლების დაცვით, არ უნდა შეილახოს მეორე ადამიანის უფლებები. ამასთან, არ გამაჩნდა ბოროტი განზრახვა ბოლქვაძის მიმართ, თორემ მსგავსი შინაარსის სხვა განცხადებებიც მქონდა, რომლებიც არ გამომიქვეყნებია.

**კორ. - რატომ მოიქეცით ასე?**

თ.ლ. - მოვერიდე მიცვალებულის სახელის შელახვას. მით უფრო, რომ მწამს, როგორი დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი პიროვნებას, მისი სიცოცხლის ხელყოფის უფლება არავის აქვს, რასაკვირველია, არც ქობალიას. როგორც ჟურნალისტს, მე მქონდა უფლება, გამევრცელებინა ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია იმის საჩვენებლად, რომ ბოლქვაძის მკვლელობისთვის, შესაძლოა ვინმეს, ვინც მას პირადად შეხვედრია, ჰქონოდა უფრო სერიოზული მოტივი, ვიდრე ქობალიას, რომელიც მას საეთოდ არ იცნობდა. ხობში არიან თვითმხილველები, რომლებიც მკვლელობათა მიზეზად სამთავრობო ჯარის წარმომადგენლებს შორის შეხლა-შემოხლას ასახელებენ. სამეგრელოში იმ პერიოდში უამრავი ჟურნალისტი ჩადიოდა და ყველა ცოცხალი დაბრუნდა, რაღა დავით ბოლქვაძეს დაატყდა ქობალიას რისხვა?

**კორ. - სასამართლო კოლეგია არ დაინტერესდა 1993 წლის მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტებით?**

თ.ლ. - არც გახსენებიათ. მოსამართლე ალადაშვილი დაკითხვისას ჩემზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა. ფარულად მემუქრებოდა, მაგალითად, ჩუმად, ჩემს გასაგონად თქვა - ნახე, ჩვენების მიცემის შემდეგ რა მოგივაო. აგდებული ტონით მელაპარაკებოდა და მამცირებდა, რასაც გამუდმებით ვაპროტესტებდი და მის ნათქვამს ვიმეორებდი, მაგრამ სხდომის მდივანს ჩემი ჩვენების ნახევარიც არ ჩაუწერია. ჩემმა დაკითხვამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სასამართლო მხოლოდ იმას ითვალისწინებს, რაც ბრალდების მხარეს აძლევს ხელს.

*პუბლიკაცია მოამზადა*
*ს. გურამიშვილმა*

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

**იბეჭდება მცირედი შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით**

KONSTANTIN GAMSACHURDIA

SWIAD GAMSACHURDIA

Dissident – Präsident – Märtyrer



### მომავლის იმედი

(გაგრძელება)

ზვიად გამსახურდიას მრავალგზის გამოუთქვამს ნააზრევი საქართველოს აწმყოსა თუ მომავლის შესახებ. მისი სიტყვა ყოველთვის სიღრმითა და შინაგანი ღირსებით იყო განმსჭვალული. ამიტომაც მოიპოვა უამრავი ადამიანის წრფელი სიყვარული: ბევრ მათგანს არ სჯერა მისი გარდაცვალების. ისინი დღემდე ელიან პრეზიდენტის დაბრუნებას. არც ცდებიან, მაგრამ არ შეიძლება ამ დაბრუნების გააზრება ფიზიკური სახით.

ზვიად გამსახურდია დევნილობაშიც კი უკიდურესად აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. ყველაფერს აკეთებდა, რაც ძალუძდა - წერილობით მიმართავდა გაეროს, თანამშრომლობისა და უშიშროების ევროპის კონფერენციას, რუსეთისა და ამერიკის მთავრობებს, ვატიკანს. მოითხოვდა საქართველოში უკანონობის აღკვეთას. ითხოვდა მხარდაჭერას, რათა კვლავ აღდგენილიყო წესრიგი და კანონიერება. ამ მიზნით პრეზიდენტი ჩეჩნეთიდან ვენასა და ჰელსინკს გაემგზავრა, მაგრამ იქაც უამრავ დაბრკოლებას შეეჯახა. ვინმეს, შესაძლოა, კიდეც გაუკვირდეს საერთაშორისო მასშტაბის ასეთი სერიოზული შეზღუდვების არსებობა ერთი პატარა ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ. თუმცა, საამისოდ უკვე შექმნილი იყო ხელსაყრელი სიტუაცია მისი მაკომპრომეტირებელი უამრავი საგაზეთო წერილის, ინტერვიუსა თუ სტატიის მეშვეობით, რომელებიც ტომებს შეავსებდა.

"სარეველა"- ასე ერქვა თექვსმეტი წლის ჭაბუკის წინააღმდეგ 1956 წელს საქართველოს კომპარტიის გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს. ზვიად გამსახურდიას ადარებდნენ სარეველა ბალახს, რომელიც საზოგადოებამ დაუნდობლად უნდა ამოძირკვოს. ავტორთა აზრით, 17-18 წლის ბიჭი ხელმოცარული ადამიანი იყო, სამშობლოსა და ოჯახის შემარცხვენელი, ამერიკის იმპერიალიზმის აგენტი და სხვა მრავალი.

რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, მთელი ევროპული პრესა წამოეგო კომუნისტების მიერ შეთხზულ პროპაგანდისტულ ტყუილზე. შეიქმნა გულის შემძვრელი სურათი - ვერაგი ნაციონალისტი, დიქტატორი ფეხქვეშ თელავს დემოკრატიას. უთუოდ, მნიშვნელოვან როლს აქ ისიც ასრულებდა, რომ კორესპონდენტთა უმრავლესობა საკმაოდ ცუდად იცნობდა საბჭოურ ცხოვრებას. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ფლობდა რაფინირებულ ფსიქოლოგიურ ტაქტიკას, რასაც აღმოსავლეთ ევროპელები, ანუ "სოციალისტური ბანაკის" მკვიდრნი, აკვნიდანვე ითვისებდნენ. სხვაგვარად სრულიად აუხსნელი ხდება დასავლეთის ესოდენი სიმპათია გორბაჩოვისა და შევარდნაძის მიმართ.

სინამდვილე სრულიად განსხვავდებოდა იმ წარმოდგენისგან, რასაც დასავლური პრესა ქმნიდა საქართველოს შესახებ: სულ 14 თვეში, სანამ ზვიად გამსახურდია მართავდა ქვეყანას, დამყარდა დემოკრატიული თავისუფლება, რაც საქართველოში მანამდე არასდროს ყოფილა; ეროვნული კონფლიქტები მოგვარდა; შემუშავდა კანონი, რომლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, განურჩევლად ეროვნებისა, გარანტირებული ჰქონდა მოქალაქეობის მიღება. რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, თურქებს, ბერძნებს, აფხაზებსა და ოსებს იგივე უფლება-მოვალეობები ენიჭებოდათ, რაც მკვიდრ მოსახლეობას - ქართველებს. საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას შეუდგა. ორგანიზებული კრიმინალიზმისთვის, ბუნებრივია, მეტად შეიზღუდა მოქმედების არეალი.

ზვიად გამსახურდიას მმართველობისას საქართველოში არ იყვნენ პოლიტიკური პატიმრები. ციხეში ისხდნენ მხოლოდ ნამდვილი ყაჩაღები. მათ შორის მხედრიონის წევრები და მათი ხელმძღვანელი - ჯაბა იოსელიანი ბანდიტიზმის გამო იყვნენ დაპატიმრებული. გაუქმდა სიკვდილით დასჯა და, თავისთავად ცხადია, აღარც პატიმართა წამებას ჰქონდა ადგილი.

ზვიად გამსახურდია ერთადერთი ხელისუფალი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც არასოდეს ყოფილა კომუნისტი. ის მართლმორწმუნე ქრისტიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თექვსმეტი წლის ასაკში ზვიად გამსახურდიას უკვე მიღებული ჰქონდა გარკვეული გამოცდილება, საქართველოში სულიერების თვალსაზრისით იმდენად დამთრგუნველი ათეისტური ტირანია სუფევდა, რომ თვით მასაც კი გაუჭირდა ერთგულ თანამოაზრეთა მოძებნა. "მრგვალი მაგიდის" ზოგიერთი წევრი მაშინვე ჩამოშორდა პრეზიდენტს, როგორც კი გაირკვა, რომ მისი დამხობა მოსკოვში იგეგმებოდა ძლიერთა ამა ქვეყნისა მიერ.

ის, რასაც ზვიად გამსახურდიამ მიაღწია, მხოლოდ საქართველოში იყო შესაძლებელი. ქვეყანაში, რომლის მკვიდრთაც, მიუხედავად ასწლეულობით უმძიმესი ჩაგვრისა, შენარჩუნებული ჰქონდათ სულიერება და ზნეობრივი საფუძვლები.

გასაკვირი იყო, როგორ მოღვაწეობდა ზვიად გამსახურდია ბოლშევიკთაგან განუწყვეტელი საფრთხისა და მუქარის პირობებში. ის ხომ საერთოდ სასწაული იყო, რომ დისიდენტი ხელისუფლების სათავეში მოვიდა. სასწაული იყო ისიც, რომ მან 14 თვის განმავლობაში ეს პოსტი შეინარჩუნა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საფუძვლები შექმნა. ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, თითქოს ამხელდაო, ნათელს ჰფენდა მეოცე საუკუნის დასასრულს. მას სჯეროდა სასწაულის და მის გარშემო მართლაც ხდებოდა სასწაულები. ეს სამყაროს ჰარმონიული არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი კანონთაგანია, რომელიც გარდუვალ წინააღმდეგობას ბადებს ყოველდღიურობასთან, ბანალურ ყოფასთან. ამ კანონის ცხოვრებაში განხორციელების არაჩვეულებრივი მაგალითია ზვიად გამსახურდიას შემოქმედებითი მოღვაწეობა. ის ყოველთვის მხოლოდ სინდისის კარნახით მოქმედებდა. მას სჯეროდა, რომ ქვეყნად არსებობენ ადამიანები, რომლებიც ასევე ცხოვრობენ. ბიბლიური სასწაულები ოდენ მათთვის არის გასაგები, [illegible] რად წაკითხვა, [illegible] შეუძლია. მართლაც, "[illegible] შორის უფრო ბევრი რამ" არსებობს, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავს შეუძლია წარმოიდგინოს.

ხალხი ზვიადს და მერაბს "საქართველოს სინდისს" უწოდებდა. მათში იყო რაღაც განსაკუთრებული, რაც შარავანდედად დაადგება საქართველოს მომავალს.

ქართული კულტურის დღესასწაულად იქცა ის დღე, როცა პრეზიდენტმა თავისი ადრინდელი ნაშრომი "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" საუნივერსიტეტო საბჭოს წარუდგინა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მას მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება. ხოლო უფრო ადრე მან უნივერსიტეტში, ფართო აუდიტორიის წინაშე (2000 ადამიანი) წაიკითხა საჯარო ლექცია საქართველოს სულიერი მისსიის შესახებ. ქართველი ერის მისია სრულად არის განსაზღვრული წინაპართა ნააზრევში და ამ მრავალჭირნახულმა ხალმა თავად უნდა შეძლოს შექმნილი ქაოსიდან გამოსავლის პოვნა სულიერი აღორძინების გზაზე. ამით ზვიად გამსახურდია უპირისპირდებოდა მათ, ვინც ცდილობდა, ქართველი ერისთვის მატერიალიზმის ბნელი იდეალები მოეხვია თავს, საყოველთაო სასოწარკვეთა და ნიჰილიზმი ჩაენერგა ეროვნულ ცნობიერებაში.

აპოკალიფსის მესაყვირენი სამყაროს აღსასრულზე მიუთითებდნენ. ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მრავალი სხვა ადამიანი იმედით შეჰყურებდნენ მომავალს, რადგან მათ იცოდნენ, რომ წარსულის ნანგრევებში ახალი სიცოცხლის ყლორტი აღმოცენდება უცილობლად.

*გერმანულიდან თარგმნა*
*თამარ ''იაშვილმა*

**წიგნის დასასრული**

---

# TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

## No 33 (in brief)

**24 - 30 September 1996**

## I Refuse to Participate in This Talentless Performance

To the Chairman of Court Session Mr. A. Aladashvili
Statement
of Vakhtang Kobalia, Jambul Bokuchava and Zviad Dzidziguri

On September 2, 1996, in accordance with Article 279 of Code of Practice of Georgia we put a motion about calling additional witnesses to the Court. The list of witnesses presented by us contained 140 persons and included those persons who were directly related to the facts mentioned in the indictment. The Prosecution refused to satisfy the motion under the following pretense: in relation to the facts presented in the materials of the case have been interrogated many other witnesses who in their testimonies elucidated these issues. The additional witnesses included into the list cannot add any information unknown to the Court in relation to these facts. The defendants are trying to prolong the Court hearing.

As the counter-argument to the above statement of the Prosecution we explained to the Court that more than 200 witnesses which have been interrogated in the course of Court hearing were presented by the Prosecution and we believe that these witnesses due to the lack of competence do not have comprehensive and unbiased information about the events which were occurring in Georgia within the period of 1991-1993. And then it is impossible for the prosecutors to know a priori whether the witnesses called by us can or cannot add anything new to the already known facts.

As for our wish to prolong the Court Hearing, the defendants are not interested in prolongation of the hearing. On the contrary, following the logic of the Prosecution, it is Prosecutor's Office that is interested in prolongation of the hearing especially considering the fact that Prosecution presented the list of witnesses consisting of 512 persons. At the same time 28 victims of the Court Hearing again and again put additional motions about the additional witnesses to be interrogated. Irrespective of the arguments presented by us the Chairman of the Court Session Mr. A. Aladashvili without any sound grounds and with rude violation of the Code of Practice refused to satisfy tour motion.

It is evident, that the judge made a negative decision after coming to agreement with the factual authorities. It is clear to us that the Court openly acts in favor of Prosecution, not allowing us to prove by interrogation the additional witnesses that in December 1991-January 1992 a military coup took place and our actions in 1991-1993 as the actions of the representatives of the lawful authorities were constitutional and lawful.

The Court under the chairmanship of Mr. Aladashvili is sparing no efforts to avoid any investigation of the events which took place in 1991-1992 in Georgia thus supporting and continuing come to the power as a result of the military coup to hush-hush the true essence of these events.

Immediately after the beginning of the Court Session we called this hearing a staged performance, farce and the Court and Prosecution - juridical office which is obediently fulfilling any wish of the actual authorities. We declare, that during 7 months of this Court performance our opinion about the above said strengthened. In the course of this performance it became evident to us that even those minimal rights which are envisaged by the Code of Practice for the defendants exist only ion paper. We learned that we actually do not have the right to defend ourselves to say nothing of the freedom of speech. During all this period not a single issue, motion put by the defendants in accordance with the Law was ever satisfied or considered by the Court. The Prosecution and the Court are working in tune pursuing one goal.

Proceeding from the above said we refuse to further participate in this performance. Thus we give the opportunity to the member of the Supreme Court Mr. Aladashvili to try the empty chairs instead of us in complete accordance with the post-coup tradition. We do not care what verdict will be pronounced by the judge who violates the law every now and then.

*September 4, 1996*

## Testimony of the Witness Lomishvili

On September 18, the head of press-service of the lawful National Guards of Georgia, the public defender of Mr. Vakhtang Kobalia, Mrs. Tamar Lomishvili was called to the Court Session to give her testimony. Our correspondent took an interview from her.

Correspondent: Mrs. Lomishvili, what was the subject of your interrogation?

Mrs. Tamar Lomishvili: The Court was Khobi. I was there in June when the Court Session was interrupted for the break because of the illness of the lawyer Ilia Nanobashvili. I was there to collect the material required for defense.

**Corr. - What materials do you imply?**

T.L. - Basically these materials concerned the two episodes which took place in Khobi. Earlier I have received statements of some Khobi residents and it was necessary to check this information. The Court asked me whom I had visited and what exactly we were speaking about. I informed the Court that I visited the witness Eter Bitsadze who in the course of preliminary investigation testified that she witnessed murder. I found the place of her residence on the third floor. When I told her who I was she even did not open the door. I only heard her hysterical shout from inside - "You'd better go away or they will kill you, me and Kobalia. Better save yourself".

From the statement of Bitsadze I knew that she was suffering from diabetes mellitus and as a result of this disease her vision is lowered. I wanted to find out whether she could see from her flat Mr. Kobalia and recognize him. I looked around and studied the place. It was evident that this place was rather far from her flat and it was impossible for her to see anything at such a distance. I was about to go when I was approached by an old woman. She told me that her name was Eter Bitsadze, that her flat was under surveillance of the police and security service and she was sure that our conversation was being videotaped and advised me not to stay there any longer and go to save my life. She was very scared and I left that place. Then I went to the family of Gela Katsarava since I had a statement from his parents. When I introduced myself to his mother, she could not help crying - she was asking to return her son. She told me that in November, 1993 his son was arrested for being "Zviadist" and under terrible threats forced him to give testimony about the murders committed in Khobi. Soon he was released but police often used to come to search not only his house but also the houses of the relatives who were living nearby. The police was looking for the father as well. I found out that their son was several times called to police where he was constantly threatened so that he did not dare to change his testimonies. Once together with the witness Bondo Kutalia he was taken handcuffed to the Supreme Court to Tbilisi. In the Court while Kutalia was giving his testimonies they took handcuffs from Gela Katsarava and for some time he remained unattended. He used this opportunity and ran away. Since then nobody has ever seen him. The parents were afraid that their son was kept in police where they were torturing him to force desirable testimonies from him.

My actions caused the anger of judge Aladashvili. He declared that I did not have the right to conduct investigation. I answered that in accordance with Code of Practice, as a public defender I had the right to find the proofs confirming the innocence of the defendant. At the same time I wondered what were the grounds of forbidding me as a public defender to check the documents necessary for defense while the journalist (for example Tea Skhiereli) has the right before the beginning of any Court hearing with the direct support and participation of the Prosecutor's Office to "interview" the witnesses and show them by TV, notwithstanding the fact that such actions are obvious interference into the course of investigation.

**Corr.: Did the Court Board show any interest in the facts related to the events of 1993?**

T.L.: They even did not remember about them. The judge Aladashvili when interrogation me was exerting psychological pressure on me. He was secretly threatening me - thus for example he whispered so that I could hear : "Just you wait what is in store for you after your testimonies are over". He talked with in the mocking tone and was humiliating me. I constantly protested against such attitude and repeated the offenses he was throwing on me. However the secretary of the Court Session did not write down more that half of my testimonies. My interrogation once more confirmed that the Court takes into consideration only those fact which are desirable for the Prosecution.

---

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთი რეგისტრირებულიადიდუბის რაიონისსასამართლოს მიერ. რეგისტრაციის ნომერია 2/4-851
იბეჭდება ს/ ს კეგელში